მეცამეტე ფურცელი

15.01.01. იაპონიაში ძალიან პოპულარულია საბავშვო თამაში “ჯან-ქენ-ბომი”. ორი ან მეტი მოთამაშე ერთდროულად გაიშვერს ხელს ან შეკრული მუშტით (“გუ”, ქვა) ან ყველა გაშლილი თითებით (“ფა“, ფურცელი), ან ორი გაშლილი თითით (“ჩოქი”, მაკრატელი). ქვა უგებს მაკრატელს, მაკრატელი უგებს ფურცელს და ფურცელი უგებს ქვას. მე მგონი ჩვენთანაც იყო ეგ თამაში, ყოველ შემთხვევაში რუსეთში ნამდვილად თამაშობდნენ ბავშვები მასეთნაირად, მაგრამ იაპონიაში ყველაფერი უფრო სერიოზულადაა. აქ ხშირად არაბავშვური საკითხებიც კი, სადაც არჩევანი აშკარა არ არის, ამ თამაშის მეშვეობით წყდება. ყოველ შემთხვევაში პოპულარული ხუმრობაა რომ აქაური მეტეოროლოგები ამინდის პროგნოზს სწორედ ამ თამაშის შედეგების საფუძველზე აცხადებენ. ბავშვებში კი ეს თამაში იმდენადაა მოდებული, რომ ალბათ ხუთი წუთიც არ გავა რომ რაიმე საკამათო საკითხის თაობაზე “ჯან-ქენ-ბომი” არ გამართონ. ვინც მოიგებს ის არის “ქაჩი”-მოგებული, ვინც წააგებს ის - “მაქე”.

დიმამაც გაიგო ამ თამაშის შესახებ. თავიდან აზრს ვერ მიხვდა და უბრალოდ ხელის ჩვენება ეგონა მთელი თამაში. ამ ბოლო დროს მიხვდა “ქაჩის” და “მაქეს” აზრს და კიდევაც გაარკვია ვინ ვის უგებს. მოინდომა ჩვენთან თამაში, უფრო სწორედ მოინდომა მოგება. სხვა თამაშებში მოსაგებად “ჟილკობს“ რაც ძალა და ღონე აქვს, მაგრამ ამ თამაშში აბა რას იჟილკებ? შედეგი ასე ვთქვათ პირდაპირ სახეზეა. ამიტომ დიმამ მოსაგებად ახალი სტრატეგია შეიმუშავა: წინასწარ მიგვითითებს რომელი ფიგურა უნდა ვაჩვენოთ და თვითონ ამ ფიგურაზე ძლიერს უჩვენებს. თუ შეთანხმება დაარღვიე და მოუგე, ეს არ ითვლება. ისევ აგიხსნის რა უნდა გეჩვენებინა და მეორედ გეთამაშება. მეორედ თუ “შეგეშალა”, ისევ აგიხსნის და ა.შ. სანამ საბოლოოდ სასურველ შედეგს არ მიაღწევს. ყველაზე დიდ ხანს მერიკოსთან თამაშობს, ჩვენ ადრევე ვნებდებით.

28.02.01. ვუყურებ ამერიკულ ფილმს. საშინელება ტრიალებს: რაღაც ფეთქდება, ისვრიან, ყველაფერი იწვის და ა.შ. ნატო და ბავშვები სხვა ოთახში "მშვიდობიან" იაპონურ დრამას უყურებენ. დიმა წარამარა შემორბის ჩემთან, ალბათ "კაცური სოლიდარობის" გამოსამჟღავნებლად. შეხედავს საშინელებებს და გარბის უკან, ეშინია. ერთხელაც მომიტრიადა და მეუბნება:

"- მამიკო, ძალიან საშინელი თუ იქნება, იქით გამოდი, ჩვენთან".

02.03.01. მერიმ ნამცხვრების გამოცხობა ისწავლა, აცხობს გაუჩერებლად. მეც კი გამატანა სამსახურში. მოვედი და ვუთხარი:

"- ჩემს თანამშრომლებს ვაჭამე და ძალიან მოეწონათ" მეთქი.

გაბრწყინდა ქალი, მაშინ უფრო მეტს გამოვაცხობო. მე მგონი მალე კარაქის პრობლემას შექმნის იაპონიაში...

ჩაის ვსვამთ. მერი, როგორც ყოველთვის, ტრაკატრუკობს თავის სიკარგეზე. თავის რომელ მხარეს იქებდა იმჯერად აღარ მახსოვს. იმდენად მივეჩვიეთ, რომ ყურედღებას აღარ ვაქცევთ, უბრალოდ თავს ვუქნევთ. ამჯერად მერი ნამეტანი როლებში შევიდა, ანამ ვეღარ გაუძლო და თქვა:

"- ღმერთო, რა ბედნიერი ვარ რომ მერის და ვარ!"

გავითიშეთ.

დიმა დაგვივაჟკაცდა. ამას წინათ ქალებთან ერთად მაღაზიაში იყო წასული. "სეილი" იყო და დიდ რიგში მოუწიათ ცდა. ცოცხალი თავით არ დათანხმდა ქალების ტუალეტში შესულიყო დედასთან ერთად. ჩაიფსა, მერე ცხარე ცრემლით ტიროდა.

მეორე დღეს ნატოსთან ერთად მერის სკოლაში წავიდნენ და იქ ნატომ დიმა ბიჭების ტუალეტში მარტო შეუშვა! დიმას კმაყოფილი სახე უნდა გენახათ იქიდან რომ გამოვიდა: მარტომ! მოფისა!! კაცების ტუალეტში!!!